[illegible] თოფურიას პირადი ფონდი

73 139

Фонд 287 Опись 1 ед. хр. 139

Фонд 287 1 ед. хр. 139

ПОСТОЯННОГО ХРАНЕНИЯ

დასკანირების თარიღი 16.01.2025 20

დვ.

# მოზრძანდით, ვაშენოთ ახალი მალთაყვა!



სურათზე: პირველი კორპუსის მშენებლობის საერთო ხედი.

## თუ დროს გავუსწრებთ...

აზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (1971 წელი, № 2) გამოქვეყნდა პროფესორ აკაკი თოფურიას ნარკვევი „მალთაყვის ჰორიზონტები", პროფესორი, რომელიც მალთაყვის ცნობილი პატრიოტია, მცირე ექსკურსს აკეთებს წარსულში და თბილად იგონებს იმათ, ვინც სწავლობდა, იკვლევდა მალთაყვას, როგორც კურორტს, პოპულარიზაციას უწევდა მას, ქმნიდა აქ პირველ სამკურნალო და დასასვენებელ კერებს.

მაგრამ აკაკი თოფურია პოეტია, გეგმების რეალობას მდიდარ ფანტაზიას აშველებს და მომავალში ჰვრეტს ამ ჭეშმარიტად მშვენიერ კურორტს, მოდი, ჩვენც, ერთი წუთით, მისი თვალით შევხედოთ მომავალს.

მართლაც, თუ დროს ცოტათი გავუსწრებთ და ხუთიოდე წლის შემდეგ ვეწვევით მალთაყვას, წარმტაცი სურათი გადაგვეშლება თვალწინ. მაღალი სახლის ფართო აივანზე ზღვიდან მონაბერი ნიავი ოდნავ არხევს პალმის რტოებს. ჩრდილში შეზლონგებზე ნებივრად გაწოლილი დამსვენებლები ზღვას გაჰყურებენ. შორს, ლაჟვარდ ტალღებს თეთრი გედი — წყალქვეშაფრთებიანი ხომალდი „კომეტა" მიარღვევს... რა შეედრება ამ სანახაობას, რომლის ბადალს აივაზოვსკის ყალამი თუ შექმნიდა.

ახლა იმ „თეთრი გედის" მგზავრი გავხდეთ და ზღვიდან შევავლოთ თვალი მალთაყვის სანაპიროებს. მწვანედ მოხასხასე ტყის ფონზე თეთრად ირეკლება ცაში აჭრილი შენობა. ეს პანსიონატია. იქვე, გვერდით პიონერთა ბანაკის ორი კომპლექსია, რომელიც ეკლარის ქვის შუქს ზღვის ტალღებში ისვრის, პლაჟზე საჩრდილობლების ტყეა აღმართული, მობანავენი შორიდან ისე მოჩანან, თითქოს ზღაპრულ ედემში უცხო ვარდები გაშლილანო. მთელ სანაპიროზე, ახლანდელი პლაჟიდან ცისფერ ტბებამდე, ერთიანი საკურორტო ზოლია გადაჭიმული, იგი წარმტაცებით უწევს მეტოქეობას თვით ბიჭვინთას, შორს, ქვეყნის საზღვრებს იქითაც იხვეჭს სახელს..

...რა არ ძალუძს ადამიანის ოცნებას! — ყოველივე ეს ხომ ჯერ მხოლოდ ფანტაზიაა, რეალური გეგმებითა და პროექტებით შობილი, მაგრამ მაინც ფანტაზია. ჩვენ კი ამჟამად ცოცხალი საქმე, პროექტის მონაცემები გვაინტერესებს და თქვენთან ერთად გავეცნოთ მას.

## რა გვიამბო ინჟინერმა

ჩვენ სამშენებლო მოედანზე ვართ. ჩვენს მიერ ზემოთ დახატულ სურათს სწორედ აქ უნდა შეესხას ხორცი, აქ უკვე მოჩანს იმის კონტურები, რასაც ჩვენ ფანტაზია ვუწოდეთ.

სამუშაოთა მწარმოებელი დურმიშხან კვაჭაძე საქმეზე იყო წასული. ადგილზე დაგვხვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გეოლოგიის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ვასილ გოგიშვილი, ინჟინერი ნუგზარ ფაცაცია და მშენებლობის სხვა მუშაკები. ჩვენ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ვ. გოგიშვილს.

— ვინ აშენებს კურორტს?

— იგი შენდება სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს დაკვეთით, ხოლო აშენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გეოლოგიის სამმართველოს სამშენებლო სამმართველოს დასავლეთ საქართველოს სამშენებლო უბანი, რომლის სამყოფელი ქუთაისშია.

კონკრეტულად რა შენდება და ვისთვის?

— დაგეგმილია ორი კომპლექსის მშენებლობა. თვითეულ კომპლექსში შედის სამი კორპუსი და კვების ბლოკი. ამას გარდა ყოველ კომპლექსს ექნება კინოდარბაზი ხუთასი მაყურებლისათვის. ორივე კომპლექსში ერთდროულად ათასზე მეტი კაცი დაისვენებს. ისეა დაგეგმილი, რომ კურორტმა მთელი წლის განმავლობაში უნდა იმუშაოს. ზაფხულობით, თვენახევარი-ორი თვის განმავლობაში აქ პიონერები დაისვენებენ, ხოლო დანარჩენ დროს — მოზრდილები. იქვე, მახლობლად აიგება მრავალსართულიანი პანსიონატი მოზრდილებისათვის. ეს იქნება ანსამბლის გვირგვინი. ისიც აგრეთვე მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს.

ყურადღებას იპყრობს კომპლექსების არქიტექტურული გადაწყვეტა. ჩვენმა ხუროთმოძღვრებმა გაითვალისწინეს მალთაყვის ჰავისა და ადგილმდებარეობის თავისებურებანი და თანამედროვე საბჭოთა ადამიანის მაღალი კულტურა. ყოველი შენობა ერთ მხარეს იქნება სამსართულიანი, ხოლო მეორე მხარეს — ოთხსართულიანი. მეოთხე სართულის გაშლილ აივანზე შესაძლებელი იქნება მზის აბაზანების მიღება, ხოლო მესამე სართულის აივანზე მყუდრო, ჩრდილოვანი დასასვენებელი ადგილი მოეწყობა.

ინჟინერი შლის პროექტებს.

— პირველი სართულის არქიტექტურა ისეთია, — ამბობს იგი, — რომ შენობა სიმსუბუქისა და უწონადობის შთაბეჭდილებას ტოვებს. სვეტები ეკლარის ქვით მოპირკეთდება. ზღვის სილურჯის მიმართ ისინი კონტრასტული და უჩვეულოდ ლამაზი იქნება. ქვედა და ზედა სართულების იატაკზე ბაზალტისა და მარმარილოს ფილები დაიგება, სათავსოებში კი — პარკეტი.

## ესთეტიკა მთავარი ელემენტია

ინჟინერი გოგიშვილი განაგრძობს თხრობას:

— ჩვენს დროში ესთეტიკას საბჭოთა ადამიანის ყოფაცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კურორტების მშენებლობის დროს ესთეტიკურ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ბიჭვინთა ამის მკაფიო ილუსტრაციაა. ასე იქნება აქაც. აქ ყველაფერი უნდა იზიდავდეს ადამიანს, ხიბლავდეს და ატკბობდეს. პროექტიც ამას ითვალისწინებს

ხუროთმოძღვრებმა დაგეგმეს არამარტო შენობები, არამედ ამავე დროს გაითვალისწინეს მათი შემოგარენის ისე გარდაქმნა, რომ იგი წარმოადგენდეს ამ მშვენიერ ნაგებობათა ბუნებრივ გაგრძელებას ესთეტიკური თვალსაზრისით. რა გაკეთდება ამისათვის?

ნაგებობათა გარშემო მკაცრი სიმეტრიით დაგეგმილი სკვერი გაშენდება აუზით და სპორტული მოედნებით. მალთაყვის მთავარი გზატკეცილიდან ორი გზა გადაჭრის ტყე-პარკს. ერთი მოზრდილთა პანსიონატს მიადგება, მეორე — პიონერთა ბანაკს. გზები დამშვენდება დეკორაციული მცენარეებით. ტყე-პარკში ორი ცისფერი ტბაა. ეს ტბები ერთმანეთს შეუერთდება ტეხილი არხით, ტბების სანაპიროები კეთილმოეწყობა და გამწვანდება. თვით ტბები და მისი ჩრდილოვანი ნაპირები დასვენების საუცხოო ადგილად იქცევა. ყველაფერი ეს ერთად შესანიშნავ ესთეტიკურ ანსამბლს შექმნის.

ცხადია, დასვენება ასეთ გარემოში დიდ სულიერ კმაყოფილებას და სიამოვნებას მიანიჭებს ადამიანს.

## სამშენებლო მოედანზე

აქამდე ინჟინერთან ერთად პროექტმა გაგვიტაცა და ოცნებით ცაში დავფრინავდით. ახლა კი ძირს დავეშვათ და ვნახოთ, რა ხდება აქ, მიწაზე, რა სტადიაშია მშენებლობა, რა ულხინთ და რა უჭირთ მშენებლებს.

სამშენებლო მოედანი ვრცელი ფრონტია. პირველი კომპლექსის ერთ-ერთი კორპუსის კედლები საკმაოდ ამოზრდილან მიწიდან, ორი დანარჩენის მშენებლობაც დაწყებულია. ფრონტის მარჯვენა მხარეს ბეტონის დამამზადებელი ქარხანა გრუხუნებს, ამწეები ზოზინით მოძრაობენ, ხარაჩოებზე მუშები საქმიანობენ. შორიდან ისე მოჩანს, რომ თითქოს დაუცხრომელი მუშაობაა გაჩაღებული, სინამდვილეში კი მშენებლობის ტემპი ძალზე დაბალია. ინჟინერი არ არის კმაყოფილი საქმის მდგომარეობით.

— მშენებლობა ცუდად მარაგდება მასალებით, — ამბობს იგი. — აი, ნახეთ. ეს რკინები შეიძლება დაგვჭირდეს ერთი წლის შემდეგ, ხოლო ის, რაც დღეს გვჭირია, არ გაგვაჩნია. დროულად არ გვაწვდიან ხე-ტყის მასალასაც. დამკვეთი ორგანიზაცია უხვად იძლევა ფულს, მაგრამ მასალების უქონლობის გამო იგი აუთვისებელი რჩება.

მშენებლობას არა ჰყავს საკმაო რაოდენობის მუშა ხელი, განსაკუთრებით კვალიფიციური მშენებლები. ასეთ პირობებში, როცა მშენებლობა სანახევროდ გაჩერებულია, ბუნებრივია, რომ მუშა ხელის დამაგრება ჭირს, დრო კი არ ითმენს — ერთი კომპლექსი 1973 წლის სეზონისათვის მზად უნდა იყოს დამსვენებელთა მისაღებად.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამაღლდეს მშენებლობის ტემპი, დაჩქარდეს საქმე? ჩვენ ასეთი კითხვა დავუსვით ინჟინრებს, მუშებს და აი რა გვიპასუხეს მათ.

ვ. გოგიშვილი (გეოლოგიური სამმართველოს უფროსი ინჟინერი): დამკვეთი ორგანიზაცია შორსაა. აქ, რესპუბლიკაში კი მეტი საქმიანი და ოპერატიული დახმარება უნდა გაგვიწიონ მშენებარე ობიექტების დირექციის, გეოლოგიის სამმართველოს სამშენებლო სამმართველოსა და დასავლეთ საქართველოს სამშენებლო უბნის ხელმძღვანელებმა. ამის გარეშე შეუძლებელია საშენი მასალებით უზრუნველყოფის რთული საკითხის გადაჭრა.

ნ. ფაცაცია (ინჟინერ-მშენებელი): მშენებლობაზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას. მაგრამ ახლა ამაზე ჩვენთან ლაპარაკი ზედმეტია. ცუდი მომარაგება უარყოფითად მოქმედებს ჩვენი საქმიანობის ყველა მხარეზე.

ა. კუპრეიშვილი (მძღოლი): მშენებლობაზე მხოლოდ 7 ავტომანქანაა. თუ მშენებლობის ტემპი გაძლიერდება, ჩვენ, მძღოლები საქმეს ვერ აუვალთ. საჭირო იქნება ტრანსპორტის გაძლიერება. ეს უნდა გაითვალისწინონ ხელმძღვანელებმა.

ვ. გოგია (ელექტროშემდუღებელი): ვმუშაობ ძალღონის დაუზოგავად... მომეცით მასალები და უფრო კარგად ვიმუშავებ.

რ. ზერაგია (ოსტატი): მასალები! — აი ერთად-ერთი, რაზეც ვოცნებობთ. თუ საშენი მასალები დროზე და უხვად გვექნება, ჩვენ ჩვენს ცოდნას და ენერგიას არ დავიშურებთ, შრომის პათოსიც უფრო მაღალი იქნება და მშენებლობის ტემპიც...

მასალები! მასალები! მასალები! — ეს მართლაც რომ ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალია ამჟამად მშენებლობაზე. მას ანგარიში უნდა გაუწიონ დამკვეთმა და ზემოთხსენებულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა; ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ ნორჩი დამსვენებლები და ათასობით მშრომელი 1973 წლის სეზონისათვის კეთილმოწყობილ კურორტს მოელიან. მთავრობის მიერ დადგენილი ვადა ურყევი კანონია.

სხვათაშორის, ნამდვილი დამკვეთი — ტიუმენის პიონერთა ბანაკი მალთაყვაშია. აქ 243 ციმბირელი ბავშვი ისვენებს. სწორედ მათთვის— ტიუმენის ნავთობისა და გაზის საბადოების მშრომელთა ბავშვებისათვის აშენებს ამ კურორტს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტრო. ჩვენ ვესაუბრეთ ბანაკის ხელმძღვანელს ა. პოლიანსკაიას.

— ჩვენთვის, ციმბირის მკვიდრთათვის, მალთაყვის კურორტი ჯანმრთელობის კერაც იქნება და ეგზოტიკაც. — თქვა მან, — მაგრამ აქ ჩვენთან ერთად სხვა მხარის და მათ შორის, საქართველოს ბავშვებიც დაისვენებენ. სამწუხაროა, რომ მშენებლობას ასე ცუდად ამარაგებენ საშენი მასალებით. შევეცდებით გავლენა მოვახდინოთ დამკვეთზე, იქნებ ნორჩთა ხმა გულში ჩაწვდეს ზოგიერთ ზოზინა მომმარაგებელს...

## სხვები სად არიან?

ზემოთ ჩვენ მალთაყვის ერთიანი საკურორტო ზოლი ვახსენეთ და ეს შემთხვევით როდი მოგვსვლია. მარჯვნივ და მარცხნივ, მთელ სანაპიროზე, მიწის ნაკვეთები გამოყოფილი აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციებს და უწყებებს. ზღვიდან დანახულ სურათში მათაც აქვთ თავიანთი ადგილი და ფერები. მაგრამ სად არიან ამჟამად ისინი, რატომ იგვიანებენ?

ეს კითხვებიც არ არის ზედმეტი და უმართებულო. მობრძანდით, საქმეს მოვკიდოთ ხელი, ვაშენოთ ახალი მალთაყვა! ეს იქნება განხორციელება იმ გრანდიოზული პროგრამისა, რასაც პარტია სახავს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ი. ქოიავა.



სურათზე: მარცხნიდან — მეღიზელე ო. ხურცილავა, ინჟინერი ნ. ფაცაცია, მძღოლი ა. კუპრეიშვილი, გეოლოგიის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ვ. გოგიშვილი, შემდუღებელი ვ. გოგია, ოსტატი რ. ზერაგია და მექანიკოსი ზ. ტყებუჩავა გეგმავენ ახალი ცვლის სამუშაოებს.

ფოტოები ბ. გავრილენკოსი.

## ჩვენი მებრძოლი: გუშაგი

# სისხლის მსმელნი...

პატიოსანი, უანგარო შრომით ცხოვრება ქაცური ქაცის ღირსებაა. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ ასე როდი ფიქრობს პისტი ქუთუს ასული ქაკულია. მან ცხოვრების გზად მექრთამეობის ყველაზე ბინძური ფორმა — მევახშეობა აირჩია. ის კი არ გაითვალისწინა, რომ ხალხს ძულს მევახშე და იგი სისხლისმსმელ წურბლად მიაჩნია.

—ფული დაგჭირდათ? ჩემი თავი თქვენ განაცვალოთ, აჰა, მიირთვით, რამდენიც გნებავთ, ოღონდ კარგი, კეთილმეგობრული ურთიერთობის შესანარჩუნებლად ცოტაოდენი გასამრჯელო მიბოძეთ, 100 მანეთზე 10 მანეთი, მეტი არა...

ასე „გაუმართა“ პისტი ქაკულიამ ხელი ნ. ს. პეტრენკოს, ლ. ს. ხაინდრავას, ლ. გ. გეთიას და ლ. ა. გახოკიძეს, რომლებსაც რამდენიმე თვეში პროცენტის სახით „მხოლოდ“ 390 მანეთი გამოართვა. ეს რა დიდი საქმეა, ოთხი კაცი რა ბედენაა! ვინ იცის, რამდენს „დახმარებია“ პისტი, მაგრამ იგი იმდენად „თავმდაბალია“, რომ როგორ გაამხელს იმათ სახელებს. ამას როგორ იკადრებს. ალალი იყოს მათზე!

ეს კიდევ არაფერი. პისტი ქაკულიამ გადაწყვიტა მიმდევრები გაეჩინა და მალე მიაგნო კიდეც ერთ ასეთ თანამოაზრეს — ფოთქვაჭრობის № 25 მაღაზიის მუშაკს თ. ჭ. ტოდუას, რომელმაც მისი მეშვეობით 300 მანეთი ასესხა ჟ. ი. ალასანიას და წინასწარ პროცენტად 30 მანეთი გადაახდევინა.

მაგრამ თოდუა უნიჭო გამოდგა, ჩრდილი მიაყენა პისტის „უმწიკვლო“ სახელს, — პირველივე ცდაზე ჩავარდა და, როგორც იტყვიან, ყველაფერი დაამღერა.

ავისმომასწავებლად გაისმა ეს სიმღერა პისტისათვის: არც მას შეარჩინეს მექრთამეობა, გამოუთვალეს, მისხალ-მისხალ აუწონეს ცოდვები და სამსჯავროს წინაშე დააყენეს.

ასეა. ჩვენს საზოგადოებაში არ არის ადგილი პარაზიტებისათვის. ადრე თუ გვიან პ. ქაკულიას ყველა მსგავსი და მიმდევარი ულმობლად დაისჯება.

ჭ. სამუშია,
ი. ქვარიანი.



**სამშაბათი, 27 ივლისი**

18.00 სატელევიზიო ჟურნალი ბავშვებისათვის „კოცონი“. 18.45 ახალგაზრდობისათვის. „მამათა ნაკვალევზე“. 19.15 „კანონი და კანონიერება“. 19.40 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.05 „წიგნის სამყაროში“. 20.45 საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე (მოსკოვიდან). 21.30 თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების სატელევიზიო რესპუბლიკური ფესტივალი. 22.30 „ფორსაიტების საგა“. ინგლისური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი. პრემიერა XVI სერია.

## ახალი „ტატრა“



ჩეხოსლოვაკია. ქ. კოპრიშივნიცის საავტომობილო ქარხანაში შექმნეს მაღალი კლასის მსუბუქი ავტომანქანის „ტატრა-613“-ის ახალი მოდელი.

სურათზე: ავტომანქანა „ტატრა-613“.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს კურორტები 10 წლის შემდეგ

ერთი მილიონი კაცი ისვენებს ყოველწლიურად საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ სოციოლოგებს მიაჩნიათ, რომ უკვე 1980 წელს კავკასიაში ჩამოვა დაახლოებით 3,6 მილიონი დამსვენებელი, რომელთაგან მეტი ნაწილი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ეწვევა.

საქართველოს სახელმწიფო ქალაქთმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტმა შეადგინა შავი ზღვის საკურორტო რაიონის რაიონული დაგეგმარების პროექტი, რომლის პირველი რიგი 1980 წლისათვის განხორციელდება. მის დამუშავებაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ბევრი სამეცნიერო დაწესებულება, გამოჩენილი სპეციალისტები — კურორტოლოგები, ექიმები, ოკეანოლოგები.

პროექტი ითვალისწინებს შავი ზღვის სანაპიროს კურორტების სიმდიდრეთა მაქსიმალურ ათვისებას. მოხდება ძველი საკურორტო ზონების რეკონსტრუქცია. თავისუფალ ტერიტორიებზე აშენდება პანსიონატები, საკურორტო სასტუმროები, ტურბაზები, კემპინგები, მოტოტელები. აშენდება საბაგირო გზები.

საინტერესოა სსრ კავშირში პირველი სამეცნიერო ცენტრი და ტურისტული კომპლექსი-ოკეანარიუმი, რომლის ფართობი 450 ჰექტარამდე იქნება. აქ თავს მოუყრიან მსოფლიოს ფაუნას, აშენდება უნიკალური აკვარიუმი.

გეგმა ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც დაიცავენ შავი ზღვისპირეთის საკურორტო ზონაში მესამეული პერიოდის ძველ რელიქტურ ფლორას, აგრეთვე შეიქმნება ახალი ტყის მასივები. 1980 წელს საქართველოს შავი ზღვისპირეთის ტყეები დაიკავებენ დაახლოებით 25 ათას ჰექტარს. მწვანედ აშრიალდება ეროვნული პარკები, ორი მათგანია „აჭარა“ — 153 ათას ჰექტარ ფართობზე და „აფხაზეთი“ — 333 ათას ჰექტარზე.

უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, ვითარდება მიმოსვლის საშუალებანი. 1980 წელს საქართველო სანაპიროზე მიიღებს სამ მილიონ დამსვენებელს. (საქდესი).



ამ სურათზე გამოსახულია შავი ზღვისპირეთის მშვენების — კურორტ ბიჭვინთის ერთი კუთხე, სადაც მაღლივ კორპუსებს შორის აღმართულია შუქურა.

ფოტო შ. ინწკირველისა.

# როდის მოვა წვიმა?

ამიერკავკასიის რომელ რაიონში შეიძლება უახლოეს დღეებში მოვიდეს უხვი ნალექები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში სპეციალისტებს ეხმარება სინოპტიკურ სიტუაციათა ანალოგიის მეთოდი, რომელიც სინოპტიკური პროგნოზების განყოფილებაში დაამუშავეს.

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ჩოგოვაძემ გააანალიზა იმ დღეების მრავალი სინოპტიკური რუკა, რომლებიც წინ უძღოდნენ უხვი ნალექების მოსვლას საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ამა თუ იმ რაიონში.

თურმე უმნიშვნელო „შესწორებით“ ბუნება პერიოდულად იმეორებს ერთხელ დამკვიდრებულ სინოპტიკურ სიტუაციებს. მაგრამ განმეორებისას ამ სიტუაციებს ყოველთვის თვისებრივად ახალი მნიშვნელობა ენიჭება. და მაინც ანალოგიები „ამინდის სამზარეულოში“ შემორჩება. ასე შეადგინეს და სულ უფრო სრული ხდება სინოპტიკურ სიტუაციათა ანალოგების კატალოგი, რომელშიც 800-ზე მეტი რუკაა. კატალოგში რომ სწრაფად გაერკვნენ და ამოირჩიონ საჭირო რუკა ახალ სინოპტიკურ მონაცემებთან შესადარებლად, რათა იწინასწარმეტყველონ უახლოესი დღეების ამინდი ამას ხელს უწყობს ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა, მაგრამ თუ ასეთი ანალოგი რამდენიმეა, ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა ასევე სწრაფად, 5-6 წუთში, განსაზღვრავს რამდენიმე შესაძლო წერტილს, სადაც შეიძლება მოვიდეს უხვი ნალექები.

ქართველ სინოპტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ანალოგიის მეთოდს, დიდი მომავალი აქვს. ათობით წლების შემდეგ საბჭოთა მეცნიერების განკარგულებაში იქნება დიდი არქივი არა მარტო ჩვეულებრივი, არამედ აგრეთვე „კოსმოსური“ სინოპტიკური რუკებისა, რომლებსაც მეტეოროლოგიური თანამგზავრების საშუალებით მიიღებენ. ეს მნიშვნელოვნად გაადიდებს არა მარტო ხანგრძლივი, არამედ ხანმოკლე პროგნოზების სიზუსტეს. შეიძლება, დედამიწის წიაღში ელექტრომაგნიტიზმის ანალოგიის მეთოდი გამოსადეგი გახდეს მიწისძვრათა პროგნოზისათვისაც. (საქდესი).

## მხიარულ ველზე

ერთხელ მწყემსმა ურტყა და ურტყა ცხვარს. საცოდავი დაკოჭლდა და მწარედ ატირდა. მწყემსს შეეშინდა და ხვეწნა დაუწყო:

— ნუ ეტყვი პატრონს, რა?..

— მე იქნებ არც ვუთხრა, მაგრამ ჩემი კოჭლობა ეტყვის, — უპასუხა აცრემლებულმა ცხვარმა. (ავღანური).

* * *

აბობოქრებულმა ოკეანემ ნაპირზე გადმოისროლა ზღვის კუ. ჭაში, სადაც კუ ჩავარდა, ბაყაყი იჯდა.

— ვინ ხარ და საიდან მოხვედი აქ? — ჰკითხა ბაყაყმა.

— კუ ვარ, პირდაპირ ოკეანიდან გეახლეთ.

— მერე, ოკეანე ისე დიდია, რომ აქამდე მოაღწია?

— ოჰ, ოკეანე ძალიან დიდია.

— ამ ჭის მესამედი იქნება?

— ეს რა ბავშვური კითხვაა! — გაიოცა კუმ.

— მაშ, იქნებ ორი მესამედიც იყოს ამ მთელი ჭის ოდენობა, ჰა?

— რას ამბობ! ოკეანე ისე დიდია, რომ შედარებაც არ შეიძლება.

„კუ ნამდვილად მატყუებს, — გაიფიქრა ბაყაყმა. — ოკეანე ჭაზე დიდი როგორ იქნება!“ (ტიბეტური).

## თასზე და პირველობაზე

წერილები და პასუხები

## «ოპტიკური სახელოსნოს შესახებ»

გაზეთ „ახალი კოლხეთის“ მიმდინარე წლის 3 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა შენიშვნა „ოპტიკის სახელოსნოს შესახებ“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სახელოსნო ჯეროვნად არა მარაგდება სათვალეებით და შეკეთებისათვის საჭირო მასალებით. შენიშვნაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ გათვალისწინებულია აღნიშნული სახელოსნოს სპეციალურ მაღაზიად გადაკეთება.

ამ შენიშვნის გამო ფოთის ცენტრალური აფთიაქის მმართველი ამხ. ა. ჭანტურია განმარტავს შემდეგს:

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით ჩვენს ქალაქში უნდა გახსნილიყო მედტექნიკის მაღაზია ოპტიკური განყოფილებით, რომელიც მოემსახურებოდა ქალაქის მოსახლეობას და სამკურნალო დაწესებულებებს. მაგრამ ასეთი მაღაზია ჯერ-ჯერობით არ არის გახსნილი და მოქმედებს მხოლოდ ოპტიკური სახელოსნო, რომელიც „საქმედტექნიკის“ სოხუმის სამედიცინო ოპტიკის სალონის ფილიალია. ოპტიკურ მაღაზიას მიმდინარე წლის აპრილიდან ამარაგებს სოხუმის სალონი.

## თასზე და პირველობაზე

გაიმართა ნახევარფინალური მატჩები სსრკ თასზე. მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ბაქოს „ნეფტჩი“. სპარტაკელებმა დიდი აღმავლობით ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე დიდი ანგარიშით 5:0.

როსტოვის სკა მასპინძლობდა დედაქალაქის „ტორპედოს“. აქაც გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 2:0. ამრიგად თასის ფინალში, რომელიც 8 აგვისტოს შედგება, ითამაშებენ მოსკოვის „სპარტაკი“ და როსტოვის სკა.

* * *

ოთხი მატჩი ჩატარდა უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის შედეგები ასეთია: „პახტაკორი“ — კიევის „დინამო“ — 0:0, „არარატი“ — ცსკა—1:0, „კარპატი“ —მოსკოვის „დინამო“ — 1:3, „შახტიორი“ — თბილისის „დინამო“ — 2:0 (ეს იყო 1-ლი წრის გამოტოვებული მატჩი).

## დღეს კინოებში

ქალაქის ფართოეკრანიან კინოთეატრ „რუსთაველში“ ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ფილმი „გედების ტბა“, კინოთეატრ „კომკავშირელში“ — „თუ უდანაშაულოა — დაეხსენ“.

სეანსების დასაწყისი: „რუსთაველში“ — 3, 5, 7 და 9; „კომკავშირელში“ — 7 და 9 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
კ. კომახიძე.

შვილი ნადია, სიძე შოთა, შვილიშვილები დალი, ზამირა და თემური ყამარაულები, ძმისშვილები ლეო კიკაბიძე, ლიდა და რაჟდენ კვესელავები ოჯახებით იუწყებიან ივლიტა დავითის ასულ კიზირია-ოდიშარიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ივლისს, 6 საათზე კუნძულის სასაფლაოზე. პანაშვიდი 27 28 ივლისს, გამოსვენება ფრუნზეს ქ. № 22.

ფენია და ილარიონ ცომაიები შვილებით ნოდარით და ემზარით, თათუშა რურუა თანაუგრძნობენ ნინო, ცისანა შავგულიძეებს, ელენა შენგელიას, გრიშა, დალი, ნანი წულაიებს, შოთა თოფურიას ოჯახს, გულსუნდა, ნანული შავგულიძეებს ოლია ლუკას ასულ შავგულიძის გარდაცვალების გამო.

№ 1-ლი პოლიკლინიკის თანამშრომლები იზიარებენ კლარა ლომიას მწუხარებას სიძის სპირიდონ ვაგულიას გარდაცვალების გამო.

გაერთიანებული სამშობიარო სახლის და ქალთა კონსულტაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურა ბოკუჩავას ძმის სანდროს გარდაცვალების გამო.

ამხანაგები ქ. გიგინეიშვილი, მ. ჯოქია, ლ. როყვა, ლ. ხონელიძე, ე. ქოიავა, ლ. კვიტატიანი, კ. მაღნარაძე, შ. მოშიაშვილი, რ. გეგენავა, გ. ხურცილავა, ვ. კიბალნიკოვი, გ. გითოლენდია თანაუგრძნობენ ვენერა და ქეთო ვაგულიებს, ლ. ჩაჩიბაიას მამისა და ბაბუას სპირიდონის გარდაცვალების გამო.

კლდიაშვილისა და კლარა-ცეტკინის ქუჩების მცხოვრები ახლო მეზობლები იზიარებენ ნადია, შოთა, დალი, ზამირა და თემურ ყამარაულების მწუხარებას დედისა და ბებიის ივლიტას გარდაცვალების გამო.

ნავსადგურის დაცვის მეთაურთა შემადგენლობა იზიარებს ნინა და შალიკო კუჭავების მწუხარებას ბიძის ირაკლის გარდაცვალების გამო.

ფრუნზის ქუჩის № 22-ში მცხოვრები ახლო მეზობლები იზიარებენ ნადია და შოთა ყამარაულების მწუხარებას დედის ივლიტა დავითის ასულ კიზირია-ოდიშარიას გარდაცვალების გამო.

ბავშვთა სპორტული სკოლის აღსაზრდელები, ხელბურთელი გოგონები და ჭაბუკები თანაუგრძნობენ მწვრთნელ ქეთევან ვაგულიას მამის სპირიდონის გარდაცვალების გამო.

პირტახიას ქუჩის მცხოვრები მეზობლები თანაუგრძნობენ საშა და შურა კოკაიებს ძმის სანდრო ალექსანდრეს-ძე ბოკუჩავას გარდაცვალების გამო.

მოსწავლეები კ. სიორდია, ნ. ნადარაია, ბ. შარტავა, ზ. მორჩილაძე, ქ. კუჭავა, გ. თურქია რ. გეთია, ნ კორკელია, ბ. ქავთარაძე, მ. კვარაცხელია თანაუგრძნობენ მშობლებთან ერთად დამრიგებელ მასწავლებელ ზინა უჩანეიშვილს მეუღლის ვალოდიას გარდაცვალების გამო.

მეზობლები ა ბოკუჩავა, ლ. გარუჩავა, გ. კოკაია, ჟ. ტულუში, გ. თაჩულია, შ. ზ. ხონელიძეები, ა მიქელაძე, დ. მაკალათია, რ. პაქსაშვილი, მ. ჭოჭუა, ლ ბერაია, გ. ნიკურაძე, ტ. კუცია, ვ. გარუჩავა ოჯახებით იზიარებენ მანია და ანტონ სტამუსების მწუხარებას ძმის ნიკოლოზის გარდაცვალების გამო.

მოსწავლეები დ. ესაკია, მ. მიქაძე, მ. ფაჩულია, ლ. გეთია, მ კუჭავა, მ. ალანია, ა. დავითაია, ნ. წულაია, რ. შურღაია, მ. ხოჭოლავა მშობლებთან ერთად თანაუგრძნობენ დამრიგებელ მასწავლებელ ზინა უჩანეიშვილს მეუღლის ვალოდიას გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა ქ. ფოთი ტელმანის ქ. № 8.
«АХАЛИ КОЛХЕТИ»
ИНДЕКС 68523.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი კოლხეთი

საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანო

АХАЛИ КОЛХЕТИ Орган Потийского Горкома КП Грузии и горсовета депутатов трудящихся

გამოცემის მე-40 წელი

№ 89 (7623), სამშაბათი, 27 ივლისი, 1971 წ. ფასი 2 კაპ.

## მაღალი ჯილდო

ბოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს სს რესპუბლიკამ 1970 წელს დიდი წარმატებანი მოიპოვა და დაჯილდოვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით.

23 ივლისს გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის მაღალი ჯილდოს გადაცემას.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ.

ვ. პ. მჟავანაძემ სიტყვა მისცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრს ვ. მაცკევიჩს, რომელმაც გულთბილად მიულოცა რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს წარმატებანი, რომლებიც საიუბილეო წელს მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში, და დამსახურებული მაღალი ჯილდო.

სოციალისტური შრომის გმირთა ჯგუფს შემოაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ვ. მაცკევიჩმა დროშა გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს. მან გადასცა აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომი, რომელიც საქართველოს სსრ მიეცა.

საპასუხო სიტყვაში გ. ჯავახიშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავრობისა და რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მადლობა გადაიხადა მაღალი ჯილდოსათვის და განაცხადა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტის კოლექტივები, ახალგაზრდობა, მეცნიერები მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ ხუთწლედის პირველი წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით სოფლის მეურნეობაში, ძალღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ შეასრულონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო დავალებანი და ნაკისრი ვალდებულებანი, ღირსეულად განახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

## სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება პირველადი პარტორგანიზაციების მთავარი ამოცანაა

### საქართველოს კპ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება

როგორც ვიუწყებოდით, 23 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა ერთი საკითხი: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. გ. თ. არჩაია.

დიდი ხანი როდია,— იწყებს თავის მოხსენებას იგი, — რაც მუშაობა დაამთავრა ლენინური პარტიის XXIV ყრილობამ, რომლის გადაწყვეტილებები საბჭოთა ხალხმა მიიღო, როგორც საბრძოლო პროგრამა. მან მშრომელთა პოლიტიკური და სამეურნეო აქტივობის შემდგომი გაძლიერება გამოიწვია. ასეთ ღირსშესანიშნავ დღეებში შეიკრიბა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება — „რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის“ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. შ. ი. ჩანტურაძის მოხსენება — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკაში პირუტყვის საკვებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებანი“.

ამ პლენუმზე მთელი სისრულით ხაზი გაესვა იმ ამოცანებს, რომელიც ამჟამად დგას პარტიული ორგანიზაციების წინაშე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. უაღრესად დიდია როლი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც ჩვენი პარტიის საფუძველია, ძირითადი რგოლია. მათი მეშვეობით პარტია ახორციელებს თავის პოლიტიკას, თავის პროგრამას, ხელმძღვანელობს თვითეულ კომუნისტს, თვითეულ შრომით კოლექტივს, თვითეულ საბჭოთა ადამიანს. ამჟამად მათი ბრძოლისუნარიანობის შემდგომი გაძლიერებით, აღმზრდელობითი და ორგანიზატორული როლის ამაღლებით მტკიცე საფუძველი იქმნება იმისა, რომ წარმატებით განხორციელდეს სკკპ XXIV ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებანი, ვადამდე შესრულდეს მე-9 ხუთწლედის ყველა სახელმწიფო დავალება.

ქალაქის სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმო-დაწესებულებათა პირველადს პარტორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს ღრმად აქვს შეგნებული, რომ მათი ენერგიული შრომა კიდევ უფრო წინ წასწევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას. ქალაქის მშრომელთა კოლექტივებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოველთა და ლენინგრადელთა მოწოდებას ხუთწლედის პირველი 1971 წლის სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან კომუნისტები.

შესანიშნავ მაჩვენებლებს აღწევს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი წისქვილკომბინატის კოლექტივი, რომელმაც ამ წლის 6 თვის გეგმა 107,8 პროცენტით შეასრულა და გეგმის ზევით გამოუშვა 5.284 ტონა მაღალი ხარისხის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გაზარდა 7,6 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 0,7 პროცენტით და სახელმწიფოს მიეცა 125 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

კარგი შედეგები აქვს ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანას. აქ კომუნისტური შრომის სახელს ატარებს 17 საამქრო, 83 ბრიგადა და 1.467 მუშა. შრომის ნამდვილ ნოვატორებს წარმოადგენენ ბრიგადირები რ. კინჟალია, ა.გვიჩია, მ. ვლასოვი, დამკვრელები ვ. ბოიკო, ნ. ხურცია, ვ. ნაჭყებია, ნ. რომანოვი, ა. აბიბულაევი, დ. დავითაია და სხვა მრავალი.

ამ და სხვა საწარმოებმა (ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი, ელექტრომანქანური გამაძლიერებლების, ღვინის, ლუდისა და ხილეული წყლების ქარხნები, პურკომბინატი, ხორცკომბინატი, სატყეო მეურნეობა, წყალსადენის სამმართველო და სხვ.) გადამეტებით შეასრულეს პირველი ნახევრის გეგმები.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## ჩვენი კალენდარი

### ი. ვ. ილინსკი



ცნობილ საბჭოთა მსახიობს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს იგორ ვლადიმერის-ძე ილინსკის დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მან თავისი ნახევარსაუკუნოვანი სცენიური მოღვაწეობა გაატარა სახელმწიფო აკადემიურ მცირე თეატრში.

ი. ილინსკიმ მრავალი საუცხოო სცენური სახე შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი სატირული სახეები ვლ. მაიაკოვსკისა და ა. სუხოვო-კობილინის პიესებში, მკაფიო კომედიური სახეები ნ. გოგოლის „რევიზორში“, ა. ოსტროვსკისა და ლ. ტოლსტოის პიესებში.

იგი გადაღებულია მთელ რიგ საბჭოთა ფილმებში, როგორც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟების შემსრულებელი. მან სამგზის მიიღო სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.

სურათზე: ი. ვ. ილინსკი.

ფოტო ვ. სობოლევისა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

## გილოცავთ, მეგობრებო!

რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები, რომლითაც რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარისა და დამსახურებული მშენებლის წოდებები მიენიჭა დიდ ჯგუფს. მათ შორის ქ. ფოთიდან:

დამსახურებული ბიბლიოთეკარისა — **შეროზიას** მარგარიტა ილარიონის ასულს — მე-3 საქალაქო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს;

დამსახურებული მშენებლისა — **დობროვს** ვასილ გრიგოლის-ძეს — ტრესტ „კოლხეთმშენის“ № 1 სამმართველოს მებულდოზერეს;

**ეჯიბიას** ვლადიმერ ზაქარიას-ძეს— ტრესტ „კოლხეთმშენის“ № 4 სამმართველოს ელექტროშემდუღებელს;

**სიჭინავას** გივი რაჟდენის-ძეს — ტრესტ „კოლხეთმშენის“ № 4 სამმართველოს ტრაქტორისტს.

* * *

**საქართველოს** საზღვაო სანაოსნოს საბჭომ და მეზღვაურთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა „პროფესიის მიხედვით საუკეთესოს“ საპატიო წოდება მიანიჭეს ფოთის საზღვაო ბუქსირ „ორშას“ კაპიტანს **შ. ვადაქარიას**, ბუქსირ „სუდჯუკის“ მექანიკოსს **ი. ხორავას**, მე-2 საწარმოო რაიონის მტვირთავ მუშათა ბრიგადის ბრიგადირს **აკ. დუმბაძეს**.

## სსრ კავშირის ხალხთა მე-5 სპარტაკიადა



მოსკოვში მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა მე-5 სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები.

სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ). 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში გამარჯვებული ვ. სოლდატენკო (ყაზახეთი). მისი დროა — 4 საათი, 4 წუთი და 27,9 წამი;

სპარტაკიადაზე გამარჯვებული პერმელი უმძიმესი წონის ძალოსანი გ. ჩეტინი. მან სამჭიდში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 375 კილოგრამი;

ბადროს ტყორცნაში გამარჯვებული მოსკოველი ა. ივანოვა. მისი შედეგია — 19 მეტრი და 39 სანტიმეტრი;

200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ვ. ბორზოვი (უკრაინა). მან დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი — 20,2 წამი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

# სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება პირველადი პარტორგანიზაციების მთავარი ამოცანაა

## საქართველოს კპ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება

(დასასრული)

ქებას იმსახურებს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ფოთის გემთშემკეთებელი ბაზის ახალგაზრდა კოლექტივი, რომელმაც 6 თვის დავალება 108 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდა 15 პროცენტით და თვითღირებულება შეამცირა 2 პროცენტით.

ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი ახალმა თაოსნობამ დევიზით „ხუთდღიური — ოთხ დღეში", რომლის ინიციატორები არიან რუსთაველი შრომის გმირი ს. კოკინაშვილი, თბილისელები ხარატი გ. მარღანია, მრთველი მ. ასათაშვილი და შრომის გმირი მძღოლი ვ. ემნაძე.

ამ მოწინავე ადამიანთა მოწოდებას ჩვენს ქალაქში პირველი გამოეხმაურა ტრესტ „კოლხეთმშენის" № 4 სპეციალიზებული მექანიზაციის სამმართველოს მებულდოზერე, სოციალისტური შრომის გმირი გ. სიჭინავა. მან საჯაროდ დადო პირობა, რომ დ-492-ა მარკის ბულდოზერით ნორმით გათვალისწინებული 72 ათასი კუბმეტრის ნაცვლად, შეასრულოს 90 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოები. ეს კი წლიური გეგმის 9 თვეში შესრულებას ნიშნავს. გ. სიჭინავას ქალაქის საწარმოებში გაუჩნდა მიმდევრები, მაგრამ ამ მიმართულებით პარტიულმა ორგანიზაციებმა გაცილებით მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინონ.

ქალაქის საწარმოებში საგრძნობლად ამაღლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ანალიზს ვუკეთებთ რა საწარმოთა მუშაობის 6 თვის შედეგებს, — განაგრძობს შემდეგ მომხსენებელი, — ჩვენ მოწინავეთა გვერდით ჯერ კიდევ გვყავს ჩამორჩენილები. ასეთია, მაგალითად, საოკეანო თევზჭერის სამმართველო, რომელმაც პროდუქციის რეალიზაციის 6 თვის გეგმა 83,6 პროცენტით შეასრულა. სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებშიც არ არის კარგი სურათი. კერძოდ პროდუქციის თვითღირებულება გაძვირდა 24,2 პროცენტით, სახელმწიფოს მიეცა 808 ათასი მანეთით ნაკლები მოგება. ჩამორჩენა ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა დაწესებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს თევზჭერის სამმართველოს ტრაულერების რემონტის დამთავრებას.

6 თვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ აგრეთვე ქარხანა „ფოთიელექტროაპარატი" და სტამბა, ხოლო ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყებამ რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულა.

აღნიშნულ საწარმოთა წარუმატებლობის შედეგია, რომ ქალაქის მრეწველობამ მთლიანად ვერ შეასრულა სახელმწიფო გეგმა. 6 თვეში ნაცვლად 43.133 ათასი მანეთისა, რეალიზებულია 42.613 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმიურზე 520 ათასი მანეთით ნაკლებია. პროდუქციის ღირებულება გაძვირებულია 4,3 პროცენტით და 5.941 ათასი მანეთის მოგების ნაცვლად მიღებულია 5.447 ათასი მანეთის მოგება. ამ მონაცემებიდან სათანადო დასკვნები უნდა იქნეს გამოტანილი.

მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები უნარიანად უდგანან სათავეში კოლექტივების შრომით ენთუზიაზმს, მტკიცედ რაზმავენ მათ ხუთწლედის დავალებათა თანმიმდევრულად შესრულებისათვის. ამ მიმართულებით მუშაობაში კარგი სამეურნეო შედეგები აქვთ ნავსადგურის, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, აეროპორტის, ტრესტ „მშენტრანსის" ფოთის ავტობაზის კოლექტივებს. უკანასკნელ ხანებში გააუმჯობესეს მუშაობა რკინიგზის ფოთის სადგურმა და მთელმა რიგმა სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებმა.

მაგრამ ზოგიერთი პარტორგანიზაცია ვერ რაზმავს თავის კოლექტივს საწარმოო გეგმების უთუო შესრულებისათვის. ამის შედეგია, რომ 6 თვის დავალებათა შესრულებაში ჩამორჩნენ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო, № 11 სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველო, მექანიზაციის ტრესტის ფოთის უბანი და № 435 მშენებლობა.

საჭიროა ჩამორჩენილ სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციების პარტორგანიზაციებმა ყურადღებით შეისწავლონ ჩამორჩენის მიზეზები, შეიმუშაონ მკვეთრი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსასწორებლად და დარაზმონ კომუნისტები დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

მომხსენებელი ეხება ქალაქის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივების აქტიურ დახმარებას სოფლის მეურნეობის რაიონებისადმი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

გადადის რა პირველადს პარტორგანიზაციებში შინაპარტიული მუშაობის დახასიათებაზე, მომხსენებელი პირველ ყოვლისა, აღნიშნავს პარტიული კრების, როგორც კომუნისტთა აღზრდის სკოლის, როლის ამაღლების აუცილებლობას. დადებით მხარეებთან ერთად ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ნაკლოვანებანი. ზოგან კრების დღის წესრიგში შეაქვთ 4-5 საკითხი, არ იცავენ კრებებს შორის საჭირო ინტერვალებს (მაგალითად, ფოთვაჭრობის, მე-6, მე-11 საშუალო სკოლების, საბავშვო ბაღების პარტორგანიზაციები).

მუშაობის გაუმჯობესებას ბევრად შეუწყო ხელი პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე ცალკეულ პარტორგანიზაციათა ანგარიშების მოსმენამ. პარტიული მუშაობის გამოცდილების გაღრმავებისა და იდეური აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს პარტორგანიზაციათა მდივნების ერთწლიანი პარტიული სკოლა, რომელიც 117 მსმენელს აერთიანებს.

პირველადი პარტორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ პარტიის XXIV ყრილობის მასალების ფართო პროპაგანდას. პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორთა ძალებით ყრილობის მასალებზე წაკითხულია 148 ლექცია. ჩატარდა თეორიული კონფერენციები როგორც ადგილებზე, ისე საქალაქო მასშტაბით, ხოლო ზოგან — კითხვა-პასუხის საღამოებიც. პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შეჯამებამ ნათელყო ამ მხრივ გაწეული ნაყოფიერი მუშაობა. ამასთან ერთად, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე ტრესტ „კოლხეთმშენის" სპეციალიზებული მექანიზაციის სამმართველოს, სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს და სხვა პარტორგანიზაციებში.

მოხსენებაში გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სახალხო რაზმელების საქმიანობის გაუმჯობესების, საბჭოთა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების უკეთ მოწყობის, ქალაქში სანიტარული კულტურის ამაღლების საკითხებს და მათს მოსაგვარებლად პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაზრდის ამოცანებს.

ჩვენს ხელთაა, — ამბობს დასასრულ ამხ. გ. არჩაია, — პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელების გზაზე სამოქმედო დოკუმენტია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება. პარტორგანიზაციების მოვალეობაა ფართო იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა გასწიონ მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის, მტკიცედ დარაზმონ კომუნისტები, ყველა მშრომელი ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

* * *

მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის დირექტორი ამხ. რ. გაბისონია. მან აღნიშნა, რომ ქალაქის ამ ერთ-ერთ მსხვილ საწარმოში აღმავლობით დაიწყო მე-9 ხუთწლედის პირველი წელი. საერთო პროდუქციის გამოშვების 6 თვის გეგმა 100,7 პროცენტით შესრულდა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იგი გაიზარდა 6,9 პროცენტით. გადამეტებითაა შესრულებული რეალიზაციის დავალებაც. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 9,2 პროცენტით, ხოლო ხელფასის საშუალო გამომუშავების ზრდამ 101,6 პროცენტი შეადგინა.

წარმოების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებით ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებში გაწეულია 54 ათასი მანეთის ეკონომია.

მუშაობაში გარკვეულად გვეშლება ხელი იმის გამო, რომ ზოგჯერ გრაფიკის დარღვევით გვაწვდიან შესაკეთებელ გემებს. ასე მაგალითად, შარშან შესაკეთებელი გემები ჩაგვაბარეს 270 დღეღამის დაგვიანებით. ეს წელსაც გრძელდება. თავის მხრივ ქარხნის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია ერთობლივ ღონისძიებებს ანხორციელებენ ყველა უბანზე მაღალნაყოფიერი შრომის მიღწევისათვის. ჩვენ ვივალდებულეთ საერთო პროდუქციის ამ წლის გეგმა შევასრულოთ 25 დეკემბრისათვის, ხოლო რეალიზაციისა — 28 დეკემბრისათვის. სახელმწიფოს ვადამდე ჩავაბარებთ სამ „კომეტას" და შევაკეთებთ სამ ტრაულერს. ქარხნის კოლექტივი იხმარება სოფლის მშრომელებს. ჩვენი ძალებით მათთვის შესრულდება ნახევარი მილიონი მანეთის სამუშაოები, ამასთანავე გამოშვებული იქნება 250 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

— მოსკოველთა და ლენინგრადელთა მოწოდებას ხუთწლედის ვადამდე შესრულების შესახებ — ამბობს ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. ჟორდანია, — მხურვალედ დაუჭირა მხარი ჩვენი საწარმოს კოლექტივმა. დამკვრელურ შრომას კარგი მაჩვენებლები მოაქვს. საერთო პროდუქციის 6 თვის გეგმა 102,7 პროცენტით შესრულდა, რეალიზაციისა — 108,7 პროცენტით.

ქარხანა ამაყობს ისეთი ადამიანებით, როგორიც არიან კომუნისტები მ. გადელია, ვ. მიხაილოვი, ი. ალიმასკინი, ე. გარუჩავა, ბ. გვალია, ა. ხორავა, რ. ხვიჩია და სხვები.

ჩვენი საწარმო შეფობას უწევს ხობის რაიონის ახალსოფლის მელორეობის საბჭოთა მეურნეობას. საგარანტიო ვალდებულება სულ 29 პუნქტისაგან შედგება, აქედან უკვე შესრულებული გვაქვს 14 პუნქტი. იგი აღნიშნავს, რომ ქარხანაში ჯერ კიდევ არის შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, გულდასმით არ მოწმდება სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, არასაკმაოდ სწარმოებს წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა. ყოველივე ამის დაჩქარებით გამოსწორება ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს შეეხო ფოთვაჭრობის პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ყაჭეიშვილი. მან აღნიშნა, რომ პარტორგანიზაციის მიერ გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ზოგიერთი კომუნისტი ჩამორჩება საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში. მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ვაჭრობის წესების დარღვევის, სახელმწიფო თანხების მითვისების შემთხვევები. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილების საფუძველზე პირველადი პარტორგანიზაციის ამასწინანდელმა კრებამ მკაცრად იმსჯელა ამ ნაკლოვანებათა შესახებ და გადაჭრით მოითხოვა, რომ ამიერიდან მეტი კონტროლი დავაწესოთ ვაჭრობის ყველა მუშაკისადმი.

— ქალაქის მშრომელთა მხარდამხარ შრომობს რკინიგზის სადგურის კოლექტივი, — ამბობს სადგურის უფროსი ამხ. ნ. შურღაია, — 6 თვის გეგმები ძირითადად გადამეტებით შესრულდა, ჩამოვრჩით დატვირთვის და ვაგონების მოცდენის გეგმის შესრულებაში (97,9 პროცენტი, 88,2 პროცენტი). პირველ სახეში გეგმის შეუსრულებლობა უმთავრესად იმითაა გამოწვეული, რომ ივნისსა და ივლისში ნავსადგურში არ იყო იმპორტული და სწრაფად გასაგზავნი ტვირთები. რაც შეეხება ვაგონების მოცდენებს, ამაში ბრალი მიუძღვით ქალაქის მთელ რიგ ორგანიზაციებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათზე მიღებული ტვირთების დროზე დაცლას. მან მოითხოვა, რომ ტვირთების მქონე ორგანიზაციებმა ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი წისქვილკომბინატის კოლექტივისა და პირადად თავის სასახელო შრომით წარმატებებზე ილაპარაკა ამავე კომბინატის მოწინავე მცეხელმა ამხ. ა. ჭაპკორიამ. მან თქვა, რომ ამ კოლექტივის მებრძოლი ავანგარდია 124 კომუნისტისაგან შემდგარი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ჩვენი კოლექტივი მუდამ მზადაა, რომ პირნათლად შეასრულოს სახელმწიფო დავალება, იმუშაოს ისე, როგორც ეს შეშვენის კომუნისტური შრომის საწარმოს.

კოლხეთის დაჭაობებული ფართობების დაშრობა-ათვისებასა და ათვისებულის გაწმენდაში გაწეული მუშაობის შესახებ მოუთხრო № 1 მექანიზაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. ბერიშვილმა. შარშან სახნავად ჩაბარდა 1200 ჰექტარზე მეტი ჭარბტენიანი ფართობი, სახელმწიფოს მივეცით 258 ათასი მანეთი მოგება, გეგმა კი 190 ათას ითვალისწინებდა. ჩვენ გაცილებით მეტი მუშაობა უნდა გავწიოთ ამ ხუთწლედში და ღირსეული შრომით წვლილი შევიტანოთ 50 ათასი ჭარბტენიანი ფართობის დაშრობაში, რაც ხუთწლიანი გეგმის დირექტივებითაა გათვალისწინებული. ხუთწლედის სტარტი კარგად ავიღეთ და ნახევარი წლის გეგმა 107 პროცენტით შევასრულეთ. მუშაობაში დიდად შეგვიწყო ხელი, — განაცხადა მან, — სარემონტო ბაზის ამუშავებამ. მაგრამ შეფერხებით ვღებულობთ მექანიზმების კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო მარაგ ნაწილებს და დამხმარე მასალებს, რის გამო რემონტის ვადები ირღვევა, მინდვრად სამუშაოები ბრკოლდება, ზოგჯერ დაგვიანებით მოდის ჩვენთან დამკვეთი ორგანიზაციებისაგან შესასრულებელ სამუშაოთა პროექტები და ხარჯთაღრიცხვები.

— ამ წელს გეგმით ჩვენმა მშენებლებმა, — ამბობს № 1 სამმართველოს უფროსი ამხ. ო. ბუნია, — მწყობრში უნდა ჩააყენონ ორი 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი 5.724 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობით. არის რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ დამატებით კიდევ ერთი 60-ბინიანი სახლი გადაეცეს საექსპლოატაციოდ. მიუხედავად ამისა, 6 თვის დავალება მაინც არ შესრულებულა, რაც იმან გამოიწვია, რომ მშენებლობაზე ნელა იკაფავს გზას მექანიზაცია, განვიცდით კვალიფიციური მუშა-ხელის სინაკლებეს, ხოლო ეს, თავის მხრივ დაბლა წევს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხობრივ მაჩვენებელს.

აღნიშნა აგრეთვე იმაზე, რომ შეფერხებანია ხის კონსტრუქციებისა და იატაკის მასალის მოწოდებაში, ზოგჯერ ტექნიკური დოკუმენტაციები და ხარჯთაღრიცხვები დაგვიანებით მოდის. სათანადო ორგანოებმა უნდა იზრუნონ ამ საქმის მოგვარებისათვის.

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ალ. ჯანუაშვილმა ილაპარაკა მეურნეობის შარშანდელ წარმატებებზე და ხუთწლიანი გეგმიდან გამომდინარე ამოცანებზე. საკოლმატაციო ნაკვეთში გადმოგვეცა 817 ჰექტარი, რომელზეც 1971-1975 წლებში გაშენდება ციტრუსები, ბალჩეულ-ბოსტნეული კულტურები, აგრეთვე გამოიყენება ფერმისათვის. 15 ჰექტარზე ჩატარდება რეფულირება, ღაიწყება და წელსვე დამთავრდება ამობეტონება მთავარი არხისა, რომელიც წყლის გადამქაჩავ სადგურს უერთდება. რიგი ახალი ნაგებობანი შეემატება მეურნეობას. ყოველწლიურად უნდა მივიღოთ სულ ცოტა 1.500-1.600 ათასი ცალი ლიმონის ნაყოფი. ასევეა სხვა კულტურების მოსავლიანობაშიც. ჩვენ კვლავაც ენერგიულად ვიშრომებთ და წარმატებით ავიღებთ ხუთწლედის ყველა ზღუდეს.

ახალგაზრდობის სწავლისა და შრომის სასახელო საქმეებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ზ. ცანავამ. აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მოწინავეთა მაგალითისამებრ ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კომკავშირელმა ს. გადელიამ იკისრა 5 დღის ნორმა შეასრულოს 4 დღეში ე. ი. ხუთწლედი — ოთხ წელიწადში. მის მაგალითს მიბაძეს სხვებმაც და ასე აზვირთდა ქალაქის საწარმოებში ახალგაზრდული მოძრაობა.

მან მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო იმის ჩვენებას, თუ რა დიდი პოლიტიკური აქტივობით გაიშალა მზადება საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავისათვის, რა ღონისძიებებს ისახავენ კომკავშირული ორგანიზაციები მომავალი იუბილესათვის.

პრესის წინაშე დასმული ამოცანების შესახებ ილაპარაკა საქალაქო გაზეთ „ახალი კოლხეთის" რედაქტორის მოადგილემ ამხ. კ. კომახიძემ. მან საჭიროდ მიიჩნია, რომ ადგილებზე პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი მუშაობა გასწიონ შრომის ახალი მეთოდების დანერგვისათვის, მძლავრი გაქანება მისცენ ნოვატორთა ენთუზიაზმს, საქმიანი დახმარება აღმოუჩინონ კედლის გაზეთებს ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის წარმოებული შრომითი საქმიანობის საინტერესოდ გაშუქებაში.

მან აღნიშნა აგრეთვე იმის შესახებ, რომ ბოლო პერიოდში არ სწარმოებს ადგილობრივი რადიო გადაცემები ტექნიკური მიზეზით, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორებას საჭიროებს. საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგას რადიოქსელის შემდგომი გაფართოებისათვის.

დასასრულ განხილულ საკითხზე აქტივის კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

---

ამას წინათ ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში ჩამოიყვანეს დოკი, რომელიც ლატვიის ქალაქ კლაიპედში დაამზადეს. იგი დიდი შენაძენია საწარმოსათვის.



**სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) ქარხნის პროფორგანიზაციის თავმჯდომარე **გ. ღვამბერია**, დოკის უფროსი მექანიკოსი **ვ. შერბატენკო**, პარტიის ქალაქკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე **გ. ხომერიკი**, დოკის კაპიტანი **გ. ეფიმოვი**, ქარხნის დირექტორი **რ. გაბისონია**, კაპიტნის უფროსი თანაშემწე **ვ. პარხომენკო** და ქარხნის პარტკომის მდივანი **ა. ინწკირველი** მსჯელობენ დოკის გამოყენების შესახებ.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.